პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 114 (5144)

1974 წ. 11 ივნისი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ᲙᲚᲘᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲝᲢᲝᲜᲘᲣᲠᲘ

დონეცკის რეგიონალური ძრო-გამოკვლევების ინსტიტუტის უკრაინის [illegible] ინჟინერ-ტექნიკოსმა ა. ატლანოვმა 100-მეტრიანი ზოლი დაბრკოლებებით 16,8 წამში გაირბინა, ხოლო ხარკოველების ს. ბელოუსოვისა და ვ. სკუბრიევის დუეტი სასწავლო კოშკის მეოთხე სართულზე 13,4 წამში ავიდა. ორივე ეს შედეგი სსრ კავშირის რეკორდია.

ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

საკავშირო სპორტკომიტეტისა და სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირს ესტუმრა უცხოელ ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი, რომელშიც შედიან დასავლეთ ევროპის, სკანდინავიის ქვეყნების, ჩრდილოეთ და ლათინური ამერიკის, აზიისა და აფრიკის სახელმწიფოების გავლენიან სპეციალიზებულ სპორტულ გამოცემათა და ზოგადპოლიტიკურ ორგანოთა მუშაკები. ჯგუფს მეთაურობენ სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის (აიპს-ი) პრეზიდენტი ფ. ტეილორი და ამავე ასოციაციის გენერალური მდივანი ბ. ნაიდუ.

მოსკოვში უცხოელმა ჟურნალისტებმა დაათვალიერეს დედაქალაქის სპორტული ნაგებობანი, შეხვდნენ გამოჩენილ საბჭოთა სპორტსმენებსა და სპორტის მოღვაწეებს. შემდეგ სტუმრები გაემგზავრნენ კიევში, სადაც ჯგუფი ორად გაიყო, და გეზი თბილისსა და ბაქოსკენ აიღეს.

გუშინ უცხოელ ჟურნალისტთა ერთი ჯგუფი თბილისს ეწვია. ჯგუფის შემადგენლობაში არიან ფ. ტეილორი (ინგლისი) მეუღლითურთ, იუნაიტედ პრეს ინტერნაციონლის საგაზეთო სპორტული რედაქტორი მ. ჰიუზი (აშშ), კანადის გაზეთ „მონრეალ სტარის“ სპორტული რედაქტორი ჯ. ჰანსონი, ჟურნალ „სპორტსუორლდის“ რედაქტორი დ. გარდნერი (ინგლისი), გაზეთ „ატლანტა ჯორნელის“ რედაქტორი ფ. ბიშერი (აშშ), ირლანდიის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გენერალური მდივანი ს. მარტინი, შვეიცის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გენერალური მდივანი, ჟურნალ „სვენსკ იდროტის“ რედაქტორი უ. კარლსონი, გაზეთ „დეილი მეილის“ სპორტული მიმომხილველი ი. ვულდრიჯი (ინგლისი), გაზეთ „ტიროლერ ტაგესციაიტუნგის“ რედაქტორი ტ. ტილი (ავსტრია), ფინეთის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი მ. სალმენკიოლა, ნიგერიელი სპორტული ჟურნალისტი ოკოტუბო.

უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფთან ერთად ჩამოვიდნენ საკავშირო სპორტკომიტეტის პროპაგანდის სამმართველოს უფროსი ა. ვალიახმეტოვი, სპორტულ ჟურნალისტთა საკავშირო ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი ა. ლეიკინი.

თბილისის აეროპორტში სტუმრებს დახვდნენ – რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ბალავაძე, საქართველოს პროფსაბჭოს სპორტის განყოფილების უფროსი ი. ბოჭორიძე, თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. შარაშიძე, რესპუბლიკის სპორტკომიტეტისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პასუხისმგებელი მუშაკები, სპორტსაზოგადოებათა თავმჯდომარეები, სპორტული ჟურნალისტები.

გუშინ სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობები, სპორტული ნაგებობები.

• • •

სურათზე: უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფი თბილისის აეროპორტში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲛᲔᲥᲘᲠᲘᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲝᲠᲩᲘᲚᲘ

8 ივნისს მოსკოვში ადგილობრივი „დინამოსა“ და კიმინიოვის „ნისტრუს“ შეხვედრით დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის IX ტურის მატჩები.

დინამოელებმა შეძლეს გამარჯვების მოპოვება ბაიდაჩნის მიერ 69-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔ...

სამარცხვინო დამარცხება

0:5! აი, ასე დამარცხდნენ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები ალმა-ათის „ჭაირათთან“.

ძნელია რამე კომენტარი გაუკეთო ამ სამარცხვინო წაგებას. იმ დროს, როცა ასეთი კრიზისი აქვს ჩვენს გუნდს, როცა დინამოელებს ყოველი მატჩის შედეგი ოქროს ფასად უღირთ, ძალების სრული მობილიზაციის ნაცვლად ასეთი დემორალიზაციის წინაშე ვდგავართ.

ცხადია, საჭიროა რადიკალური ზომების მიღება. კატასტროფულ მდგომარეობას ხსნა უნდა უახლოეს ხანში. ეს არა მარტო შერცხვენილი ფეხბურთელების, არამედ თითოეული ჩვენგანის საქმეა და ამაზე საჭიროა სერიოზული ლაპარაკი, მთელი ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობის აქტიური მოქმედება. თბილისის „დინამოს“ შველა უნდა!

• •



9 ივნისს გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 3:0, „პამირი“ (დუშანბე) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 3:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 4:1, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 1:1, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 6:2, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „დინამო“ (მინსკი) 1:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 3:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 0:0.

ᲝᲠᲯᲔᲠ — 4:0

ნიცა, 10 ივნისი. XXI საჰადრაკო ოლიმპიადის პირველი ნახევარფინალური ჯგუფის II ტურში სსრ კავშირის გუნდმა სძლია ანტილის კუნძულების ნაკრებს — 4:0. III ტურში მან ასეთივე ანგარიშით დაამარცხა იორდანიის გუნდი.

• •

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲜᲐᲑᲠᲓᲐ

ᲙᲘᲔᲚᲝᲕᲘᲡᲘ, 10 ივნისი. ჰადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში ვ. კოზლოვსკაიამ (პიატიგორსკი) და ი. ლევიტინამ (ლენინგრადი) გუშინწინ VI, გადადებული პარტია უნდა დაემთავრებინათ. როგორც ცნობილია, შეწყვეტილ პოზიციაში ლევიტინას დიდი უპირატესობა ჰქონდა. ამიტომ კოზლოვსკაიამ თამაშის განუახლებლად დათმო პარტია.

ამრიგად, მატჩში ანგარიში გათანაბრდა (3:3). დღეს გაიმართება VII პარტია, რომელშიც თეთრებით კოზლოვსკაია თამაშობს.

ᲐᲖᲘᲐᲡᲘᲡ ᲩᲔᲛᲠᲘᲜᲘ-74

● ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 8 ივნისი. „ჟან ბუენის“ სტადიონზე გამართულ პ. მერიკამპის მემორიალში სსრ კავშირის ნაკრების წევრებიც მონაწილეობდნენ. სამხტომში გაიმარჯვა ვ. სანეევმა — 16,56 მ. ა. მოშიაშვილი 110 მეტრზე თარჯრბენის პირველივე წინაღობას წამოედო, მაგრამ IV ადგილზე მაინც გავიდა — 14,0. ი. ლუსისის მიერ ნატყორცნა შუბმა ყველაზე შორს — 84,08 მეტრზე იფრინა. ი. ისაკოვი ჭოკით 520 სმ სიმაღლეს გადაეკვეთა და პირველობა დაისაკუთრა. I ადგილები დაიკავეს, აგრეთვე, მ. ელლობრესკიმ — 5000 მეტრზე რბენაში (13.49,0) და ვ. პანტელეიმ — 1500 მეტრზე ასპარეზობაში (3.42,9). პოლონელმა ი. შევინსკამ 100 მ 11,1 წამში გაირბინა.

● *რიგა, 9 ივნისი. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს თასების ტრადიციულ გათამაშებაში 600-ზე მეტი საბჭოთა მძლეოსანი მონაწილეობდა. სარბიელზე გამოვიდნენ, აგრეთვე, გდრ-ის, კუბის, პოლონეთის, რუმინეთისა და ფინეთის წარმომადგენლები. ცივი ამინდის მიუხედავად, ზოგიერთ სახეობაში შედეგები დამაკმაყოფილებელი იყო: 5000 მეტრზე რბენა მესამედ მოიგო დაუგავილსელმა ა. ბეიხაროვიჩმა — 13.52,2. სვეტლანა ბაბიჩმა (მოსკოვის ოლქი) შუბი 57,82 მეტრზე ტყორცნა და პრიზი წლეულსაც მოიპოვა. ვაჟთა შორის ამ სახეობაში ყველას აჯობა ნ. გრებნიო

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა

მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო

სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოა ძოსწავლეთა წარმოადგენლებს ბევრჯერ გავუხარებიართ საკავშირო სპორტაკიადებში ძალა-ლა ბაჩვენებლებით როგორც პირად, ისე გუნდურ ასპარეზობაში.

1972 წელს მოსწავლეთა XII საკავშირო სპარტაკიადაში (კიევი) ჩვენი ტანმოვარჯიშეები საპრიზო ექვსეულის მიღმა დარჩნენ, რითაც საახელო ტრადიცია დაარღვიეს. რა გაკეთდა განვლილი ორი წლის ძახძილზე რესპუბლიკაში მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა მომზადების დონის ასამაღლებლად? როგორი მაჩვენებლებით წარდგებიან ჩვენი გოგონები და ჭაბუკები მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადაში, რომელიც თვენახევარში ყაზახეთის დედაქალაქ ალმა-ათაში გაიმართება? აი, სწორედ ამ შეკითხვებზე უნდა გაეცა პასუხი საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებას, რომელიც თბილისში ჩატარდა.

სპორტის ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე გოგონათა შორის ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდო თბილისელმა სპორტის ოსტატმა ს. დუდამ, რომელმაც 72,6 ქულა დაგროვა და I ადგილი დაისაკუთრა მრავალჭიდში. დუდა პირველი იყო, აგრეთვე, თავისუფალ ვარჯიშში, ნაოსიმაღლის ორძელზე და ბჯენით ხტომაში.

გამარჯვებულს 0,6 ქულით ჩამორჩა 15 წლის თანაგუნდელი მ. აბულაძე, რომელმაც I ადგილი დაისაკუთრა დვირზე.

III ადგილი ხვდა თბილისელ ლ. ნავროზაშვილს — 70,8.

საინტერესოდ მიმდინარეობდა სპორტის ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით მოასპარეზე გოგონათა ბრძოლა, სადაც თავი მოიყარა რამდენიმე თანაბარძალოვანმა სპორტსმენმა. 72,95 ქულით გაიმარჯვა ვ. ფხაკაძემ. ე. ბიჭიკაშვილი და თ. ლაფერაშვილი (სამივე — თბილისი) ერთნაირი მაჩვენებლებით (72,5 ქულა თითოეულს) II-III ადგილებზე გავიდნენ.

პირველთანრიგოსანთა პროგრამით მოასპარეზე გოგონათა შორის იმარჯვეს სოხუმელებმა ვ. ზედილოვამ (66,05 ქულა), მ. ბოკუჩავამ (65,35) და ე. ზედილოვამ (65,15)).

ჭაბუკთა ასპარეზობაში როგორც სპორტის ოსტატობის კანდიდატთა, ისე პირველთანრიგოსანთა პროგრამით ძალები აშკარად უთანაბრო იყო. სპორტის ოსტატობის კანდიდატთა შორის ძრავალჭიდში 109,55 ქულით გაიმარჯვა ვ. კეკლიშვილმა. II ადგილზე გასული თ. გოგინაშვილი მას მთელი 4 ქულით ჩამორჩა. III ადგილი გ. პაპუაშვილს ხვდა — 104,2. პირველთანრიგოსანთა შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: მ. თათარაძე—109,7, ა. ალავიძე — 107,6, ზ. ჩაკვეტაძე — 105,2 (ექვსივე — თბილისი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ჯგუფის კოლექტივთა შორის გაიმარჯვეს თბილისელმა ტანმოვარჯიშეებმა. II ადგილი დაიკავეს ქუთაისელებმა, III — სამხრეთ ოსეთის წარჩომადგენლებმა. მეორე ჯგუფის გუნდებს შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: გორი, ზუგდიდი, ლანჩხუთი.

თუ შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მაჩვენებლები არცთუ სახარბიელოა. ფაქტია, რომ ჩვენი რესპუბლიკის გოგონათა ნაკრები, რომელსაც სათავეში სპორტის ოსტატი ნ. დრონოვა ჩაუდგება (შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა საპატიო ბიზეზით), მთლიანად ოსტატებით ვერ დაკომპლექტდება. მაგრამ, თუ გოგონათა გუნდში მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება ნაკრების ნიჭიერი ოსტატობის კანდიდატებით შევსებით, ჭაბუკთა კოლექტივში საქმე სხვაგვარადაა. ასპარეზობის მონაწილე ჭაბუკთა შორის კარგი მომზადებით, ურთუ-ლესი ილეთებისა და კომბინაციების შესრულებით გამოირჩეოდა მხოლოდ ვ. კეკლიშვილი (მწვრთნელი ო. მიქელაძე). დანარჩენთა მომზადების დონე დაბალია.

მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადამდე დარჩენილი დრო გოგონათა და ჭაბუკთა გუნდების ხელმძღვანელობამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ი. იუნაევი.

* * *

სურათებზე: ვ. კეკლიშვილი ტაიგზე ვარჯიშის მომენტში; ს. დუდა თავისუფალი ვარჯიშის დროს.

ავტორის ფოტოები.



ბევრი ახალი მეგობარი...

თბილისის უნივერსიტეტის სპორტლუნებს მდიდარი ტრადიციები აქვს. ამ უმაღლესი სასწავლებლის სპორტსმენებს ბევრჯერ უსახელებიათ რესპუბლიკა არა მარტო საკავშირო, რამდენ საერთაშორისო სარბიელზეც. მათ შორის უნდა დავასახელოთ საქვეყნოდ სახელგანთქმული სპორტსმენები: მძლეოსანი ანატოლი მოშიაშვილი, ძიუდოისტი შენგელი ფიცხელაური, მოკიდრაკე ნინა ალექსანდრია...

ფართოდდება კონტაქტები სხვა ქვეყნების სპორტსმენებთან. მაგალითად, უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდი სულ ახლახან დაბრუნდა ჩეხოსლოვაკიიდან, სადაც წარმატებით ჩაატარა შეხვედრები ამ ქვეყნის კლუბებთან. ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა გუნდის უფროს მწვრთნელს, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს **გ. ჩახავას** და მთავბეჭდილებების გაზიარება სთხოვა.

— ეს იყო ჩვენი კალათბურთელების საპასუხო ვიზიტი, — თქვა მწვრთნელმა. — როგორც ცნობილია, მანამდე ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად იყო პრაღის უნივერსიტეტის გუნდი, რომელმაც თბილისში ქალთა საერთაშორისო ტურნირში იასპარეზა. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ ჩვენი გუნდების შეხვედრები ტრადიციად ქცეულიყო.

ჩვენები თბილისიდან მაისის შუა რიცხვებში გავემგზავრნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის გათავისუფლების 29-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ტურნირში. კალათბურთელებს ამზადებდა გუნდის მწვრთნელი, წარსულში ამავე კოლექტივის წევრი, სპორტის ოსტატი ლმარა გენგაშვილი.

ჩეხოსლოვაკიაში სამი შეხვედრა გვქონდა საკმაოდ ძლიერ მეტოქეებთან და სამივე მოვიგეთ. პირველი მატჩი ტურნირის მასპინძლებთან — პრაღის უნივერსიტეტის კალათბურთელებთან ვითამაშეთ. ჩვენებმა შეხვედრა თავიდანვე აღმაღლობით დაიწყეს და დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 64:53.

შემდეგ უფრო ძლიერ გუნდს — ეროვნული ჩემპიონატის მოგებულ „სლოვან ორბისს" შეეხვდით. ჩვენმა გუნდმა შეხვედრა წარუმატებლად დაიწყო. პირველი ტაიმი წაგებეთ — 27:35. მეორე ტაიმის მე-13 წუთისთვის უკვე 11 ქულით ვაგებდით. მაგრამ ამ მომენტიდან ჩვენებმა ძლიერად, შედეგიანად დაიწყეს თამაში და ბოლოს გამარჯვეს კიდეც — 68:63.

შემდეგი მატჩი ქალაქ ინდრეიოვ-გრადეუში გვქონდა ადგილობრივ „სლოვანთან". იქ ჩვენი ჩასვლა ნამდვილ ზეიმად იქცა. ქუჩებში გამოკრული იყო ლამაზი აფიშები, მოგვიწყვეს ძალიან გულთბილი შეხვედრა.

მასპინძელთა გუნდში იყვნენ ჩეხოსლოვაკიის უძლიერესი კალათბურთელი ქალი ჯერა ინდროვა, ქვეყნის ნაკრების წევრი პეტროვა. მაგრამ ჩვენი გოგონები ძალიან ტემპით, უაღრესად ტექნიკურად თამაშობდნენ და მატჩი მოიგეს — 69:63.

ჩვენი სტუმრობა მარტო სპორტული შეხვედრებით როდი ამოიწურებოდა. მასპინძლებმა გვაჩვენეს ქვეყნის ღირსშესანიშნაობანი, ინდრეიოვ-გრადეუში ვეყავით სახელგანთქმულ საფეიქრო ფაბრიკა „ოტკასში". მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, რა თქმა უნდა, პრაღამ მოახდინა. დავათვალიერეთ ქალაქის ისტორიული ძეგლები. ყველაზე გულთბილი შეხვედრა კი ჩვენს მასპინძელ უნივერსიტეტში გველოდა. კარგად დავათვალიერეთ ქვეყნის ეს უძველესი სასწავლებელი, შევხვედით და ვესაუბრეთ სტუდენტებსა და მასწავლებლებს. შემდეგ მივეცინ უნივერსიტეტის პროორექტორმა, რომელიც გვესაუბრა სასწავლებლის წარსულის, დღევანდელ დღისა და მომავალი გეგმების შესახებ.

ჩეხოსლოვაკიაში სტუმრობა ჩვენი გუნდისთვის ძალიან სასარგებლო იყო არა მარტო სპორტული თვალსაზრისით, რაც მთავარია, ჩვენ იქ ბევრი ახალი მეგობარი შეეძინეთ.

ჯ. თედიაშვილი.

ასე იჯვიმეს

თვალსა და გულს ახარებს ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი: ყველაფერი ამწყანებული და ყვავილებით დამშვენებულია. აქ ბაყოფილი სპორტული მუშაობაა გაშლილი მოსწავლეთა შორის. ეწყობა შეჯიბრებები ნაში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ბადმინტონში, ფეხბურთში.

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 50 წლისთავს მიეძღვნა საქალაქო შეჯიბრება მინი-ფეხბურთში, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც მონაწილეთა, ისე ფეხბურთის მოყვარულთა შორის.

ტურნირი ჩატარდა ორ ეტაპად. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს „რისხვამ", „თოლიამ", „შევარდენმა" და „ელსმოსმა".

6 შესაძლებლიდან 4 ქულით I ადგილი დაიკავა „რისხვამ" (25-ე სკოლა). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „შევარდენი" და „თოლია".

ყველაზე ტექნიკური გუნდისთვის დაწესებული პრიზი გადაეცა „ელსმოსს" (მე-7 სკოლა), საუკეთესო მოთამაშედ მიჩნეულია რ. სიმსიევ (მე-15 სკოლა). გამოვლინდნენ სხვა ნიჭიერი ფეხბურთელებიც — ზ. ლომაძე (25-ე სკოლა), მ. სირაძე (მე-15 სკოლა), თ. სპატარიდი (მე-4 სკოლა), გ. ტეუშელაშვილი (32-ე სკოლა). საუკეთესოებს გადაეცათ სიგელები.

ი. კოკუაშვილი.

ქუთაისი.

აკადემიადის ჩემპიონები



ლენინგრადში ექვს დღეს გაგრძელდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 250 წლისთავისადმი მიძღვნილი აკადემიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა ნაკრები გუნდები. აკადემიადის პროგრამაში იყო კალათბურთელთა, ჩოგბურთელთა და ფრენბურთელთა ტურნირები.

წარმატებით ისპარეზა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდნენ გეოლოგიურ-მინეროლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, სპორტის ოსტატი მ. კეკელია, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები ა. მიქაბერიძე, ა. ოდიშარია, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. მინაშვილი და სხვ. ქართველმა კალათბურთელებმა ქვეჯგუფში დაამარცხეს ვლადივოსტოკისა (68:51) და უზბეკეთის (65:55) გუნდები, მეოთხედფინალში ძლიეს ნოვოსიბირსკელთა ძლიერ კოლექტივს (62:48), ნახევარფინალში მოსკოვის გუნდს აჯობეს (78:60) და ფინალში ლატვიის ნაკრებს შეხვდნენ. გადამწყვეტ მატჩში ჩვენი გუნდის სული და გული გ. მინაშვილი იყო. მისი მაღალი ოსტატობის წყალობით და გუნდის დანარჩენ წევრთა აქტიური მხარდაჭერით საქართველოს გუნდმა დამარცხა მეტოქე — 69:54.

აკადემიადის ჩემპიონობა მოიპოვა, აგრეთვე, საქართველოს ჩოგბურთელთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც გამოდიოდნენ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სპორტის ოსტატი ლ. მინარიშვილი, სპორტის ოსტატები პ. მეტრეველი და ნ. თუბარელი. მათ თანმიმდევრულად სძლიეს მოლდავეთის, ლატვის, უზბეკეთის კოლექტივებს და ფინალში დაძაბული ბრძოლის შემდეგ უკრაინის ძლიერი გუნდი დაამარცხეს.

აკადემიადა, რომელშიც 700-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა, კარგად იყო ორგანიზებული. მეგობრობის კლუბში მუდამ ნახავდით სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლებს, ეწყობოდა ახალგაზრდა მეცნიერ-სპორტსმენთა საინტერესო შეხვედრები.

შემდეგი აკადემიადა გაიმართება 1976 წელს.

მ. კეკელიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელი.

* * *

სურათზე: საქართველოს კალათბურთელთა გუნდმა წუთისუფლება აიღო.

აკრობატიკის საერთაშორისო

ამერიკის შეერთებული შტატები, ბულგარეთი, გფრ, პოლონეთი, სსრ კავშირი, უნგრეთი, — აი, ის ქვეყნები, რომელთა სპორტსმენები ჩაებმებიან აკრობატთა I მსოფლიო ჩემპიონატში. ეს ახალრეზობა 12-15 ივნისს ტარდება მოსკოვში.

აკრობატიკა სპორტის უძველესი სახეობაა, მაგრამ მსოფლიო აღიარება მხოლოდ შარშან, ნოემბერში პოვა, როცა აკრობატიკის საერთაშორისო ფედერაცია შეიქმნა. სწორედ ახალი ფედერაციის კონგრესმა გადაწყვიტა I მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების უფლება მიეცა სსრ კავშირის სპორტული ორგანიზაციებისთვის, რომლებმაც ძალიან ბევრი რამ გააკეთეს აკრობატიკის განვითარებისა და პოპულარიზაციისთვის.

— აკრობატთა საერთაშორისო პრემიერა ლუჟნიკის სპორტის სასახლეში ჩატარდება. პროგრამაშია შვიდი სახეობა — ხტომა (ქალები და ვაჟები), ქალთა, ვაჟთა და შერეულ წყვილთა შეჯიბრებები, — უთხრა საკადესის კორესპონდენტს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სპორტულ ტანვარჯიშში ი. ტიტოვმა. — ყველა შეჯიბრება პირადია. აკრობატები ისპარეზებენ სამ სარბიელზე და სპეციალურ 25-მეტრიან „სახტომ" ბილიკზე.

მსაჯებს, მაყურებლებსა და ექსპერტებს დიდ დახმარებას გაუწევს ელექტრულ-გამომთვლელი მანქანა, რომელშაც კარგად ჩაბარა გამოცდა „უნივერსიადა-73"-ის დროს. ეს მანქანა აღუსახავს შეფასებას, შეაჯამებს შედეგებს, რის შემდეგაც სადემონსტრაციო დაფას და ოქმებს „მიაწვდის" მათ. ტურნირისთვის აუცილებელი მოწყობილობა სამამულო წარმოებისაა.

— აკრობატთა ჩემპიონატისთვის 180 მედალი გამოიჭედა: 45 დიდი ოქროსი, ვერცხლისა და ბრინჯაოსი (მრავალჭიდისთვის), კიდევ 45 — ბრინჯაოსი (IV, V და VI ადგილებზე გასულებისთვის). დანარჩენი 90 ჯილდო დაწესებულია ცალკეულ სახეობებში საპრიზო ადგილებზე გასვლისთვის.

სპეციალური პრიზები დააწესეს

სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ორგანიზაციისთვის

მეთოდური მითითებანი

მეხუთე დღე — ტექნიკური ოსტატობის სრულყოფა (საძუალო დატვირთვა 2 საათს). ვარჯიშები ერთეულებში, წყვილებში, ჯგუფებში: გადაგდები, მიღება, ტარება, ცრუ მოძალებები, კარში დარტყმა. ეს უკანასკნელი ვარჯიში უნდა შესრულდეს გართულებულ პირობებში გადაცემებიდან, როცა ბურთის დაკარგვის საფრთხე იქმნება.

მეექვსე დღე — დასვენება ან მეცადინეობა მცირე დატვირთვით (1 საათს). თუ ტარდება ვარჯიში, იგი უპირატესად მიზნად უნდა ისახავდეს ტონუსის აშაღლებას (მცირე რაოდენობით ვარჯიში ძალისა და სისწრაფისთვის, ნახტომები, ტყორცნები, სტარტები სხვადასხვა მდგომარეობიდან).

ტექნიკის სრულყოფა (უმეტესად ინდივიდუალურად).

მეშვიდე დღე — კალენდარული თამაში.

რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება ფეხბურთელთა მომზადების დროს

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკის გუნდებში მომუშავე წვრთნელები მთელ გულისყურს ტექნიკურ და ტაქტიკურ მომზადებას უთმობენ, ფიზიკურ მომზადებას კი საკმაოდ ყურადღებას არ აქცევენ. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღების საგანგებოდ გამახვილება სწორედ ფიზიკური მომზადების ზოგიერთ კონკრეტულ საკითხზე.

სწრაფგამძლეობის ხარისხის სრულყოფა

რბენის სისწრაფის გამომუშავება ყველაზე უფრო შეიძლება ფეხბურთისთვის დამახასიათებელ მანძილზე — 20-40 მეტრზე. მაგრამ შეიძლება გამოვიყენოთ უფრო გრძელი მანძილებიც — 60-80 მ. თანაც, რბენა საჭიროა უმეტესად მაქსიმალური სიხშირეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისწრაფეს ვერასდროს ავიმაღლებთ.

ერთი სიტყვით, ასეთი ვარჯიშის ამოცანას შეადგენს ის, რომ ფეხბურთელმა ერთ-ერთი განმეორებითი რბენის დროს გაზარდოს თავისი მაქსიმალური სისწრაფე და ამ აჩქარებული მოძრაობის მექანიკა „დაამახსოვროს“ ორგანიზმს. მაშასადამე, მიღწეულია სისწრაფე ვარჯიშის მრავალგზის გამეორების დროს, რაც უნდა მეწყდეს, როგორც კი შეუატყობთ, რომ დაღლილობის გამო შედეგი უარესდება.

მაშ როგორი უნდა იყოს ინტერვალი ცდებს შორის?

მოკლე მონაკვეთებზე სირბილის დროს 5-6 ცდისგან შემდგარ სერიებში ინტერვალად საკმარისია 10-20 წამი, ხოლო სერიებს შორის — 3-4 წუთი. უფრო გრძელ მანძილებზე (40-100 მ) სირბილის დროს ცდებს შორის ინტერვალი იზრდება, სანამ ჟანგბადის დავალიანება არ დაიფარება (2-5 წუთი). თუ მაჯისცემას გაზომვით ვაკონტროლებთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ვარჯიშთა განმეორებით მიცემისთვის მაჯისცემის ოპტიმალურ სიხშირედ ითვლება 120 დარტყმა წუთში. სწრაფგამძლეობის განსავითარებლად ხშირად რეკომენდებულია რბენის გამეორება ჟანგბადის დავალიანების პირობებში.

სისწრაფის განსავითარებელი ვარჯიშების შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოძრაობის დროს კუნთების მოდუნების უნარის განვითარებას. ეს ყველაზე კარგად ხერხდება 100-200 მეტრზე რბენით, რაც შემდეგნაირად სრულდება: სტარტიდან 20 მ — მაქსიმალური სისწრაფით, შემდეგი 10-15 მ — ინერციით, მოდუნებით, შემდეგი 15-20 მ — კვლავ მაქსიმალური სისწრაფით, 10-15 მ — ინერციით. რბენა მთავრდება საფინიშო ბიძგით 15-20 მეტრზე. გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ასეთი სახის ვარჯიში ამაღლებს როგორც სისწრაფის ხარისხს, ისე სწრაფგამძლეობას.

რბენის სისწრაფის ზრდაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძალის განვითარებას. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ძალიან კარგია ხახტომები ერთი ფეხიდან მეორეზე, რაც სრულდება მაქსიმალური სისწრაფით 30-50-მეტრიან მოხაკვეთებზე. ასევე შეიძლება გამოვიყენოთ ხტომები და რბენა მცირე ტვირთით, ახტომა საფონით (16-20 კგ) რაც შეიძლება სწრაფი არეკვნით, ხირბილი მსრებზე გადებული მტანგით ან სხვა სიმძიმეებით (30-40 კგ-მდე). იყენებენ, აგრეთვე, ტყვიის საფარებს ფონით 400-600 გრამამდე, რომლებსაც წვივზე იმაგრებენ. ასეთი მძიმე საფარით რბენა კარგი ძალისმიერი ვარჯიშია სისწრაფის განსავითარებლად.

სწრაფვამძლეობითი ვარჯიშები აუცილებლად უნდა შესრულდეს საწვრთნელი მეცადინეობის დასაწყისში, მოთელვის შემდეგ, როცა ფეხბურთელი ჯერ კიდევ არ არის დაღლილი.

როცა ფეხბურთელთა გამძლეობაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვიფიქროთ ძალის, სიმსუბუქის, ენერგიის შენარჩუნებაზე. ამავე დროს იგულისხმება სათამაშო აზროვნების სიმყარე, ტექნიკური ხერხების შესრულების სიზუსტე და სისუფთავე.

როგორ გავავითაროთ ასეთი გამძლეობა? აქ ერთ-ერთი ყველაზე კარგი კომპლექსური საშუალებაა თვით ფეხბურთის თამაში. გარდა ამისა, შეიძლება გამოვიყენოთ სხვა თამაშები ან სათამაშო ვარჯიშები.

მაგრამ ამ მეთოდსაც აქვს ნაკლოვანი მხარეები. პირველი: გამძლეობის სრულყოფისთვის საჭიროა თამაში მაქსიმალური დაძაბულობით, დაქანცვამდე და ამ დაქანცვის გადალახვით, მაგრამ, როგორც ვიცით, თამაშებში, განსაკუთრებით კი საწვრთნელ თამაშებში, გამორიცხულია იძულების ელემენტი, რაც ფეხბურთელს ვალდებულს ხდის გააძლიეროს ვარჯიში ძალით, შესაძლებლობების მიუხედავად. ასეთ თამაშებში ფეხბურთელი აჩდენს ძალების თვითრეგულირებას და ხშირად მუშაობას უკლებს გაცილებით ადრე, სანამ დაიღლებოდეს.

ამიტომაც საჭიროა წვრთნის სპეციალური დამატებითი საშუალებები, სადაც მუშაობის ინტენსივობა და მოცულობა უფრო იძულებითია, და შეიძლება სათანადო კონტროლის გაწევაც.

მეორე: ხდება ფეხბურთელის აღაპტაცია (შერჩევა) სათამაშო დატვირთვასთან, რის შედეგადაც გამძლეობა აღარ მატულობს. ამიტომაც მიზანშეწონილია, რომ საწვრთნელი ორმხრივი თამაშების ყოველი ნახევრის (ტაიმის) ხანგრძლივობა 60 წუთამდე გაგრძელდეს.

საერთო გამძლეობის განვითარებისთვის დამატებით საშუალებად პირველ ყოვლისა რბენა გამოიყენება. სასარგებლოა ცურვა, ნიჩბოსნობა, სათხილამურო სპორტი და ა. შ. განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ რბენაზე.

1. კროსები. ეს შეუცვლელი საშუალებაა, განსაკუთრებით, მოსამზადებელი პერიოდის საერთო მომზადების ეტაპზე.

2. შენაცვლებითი სირბილი. საერთოდ, ასეთი სახის სირბილი გამოიყენება მოსამზადებელი პერიოდის პირველ ეტაპზე. დასაწყისში რეკომენდებულია ნაკლებად ინტენსიური რბენა 60 წუთამდე შემდეგი რეჟიმით: სწრაფი მონაკვეთები 80 პროცენტი ინტენსივობით, ნელი — 20 პროცენტით. უფრო გვიან ეტაპზე შენაცვლებითი სირბილის ხანგრძლივობა მეცადინეობებზე შემცირდება 15-30 წუთამდე, სადაც „სწრაფ“ მონაკვეთებზე რბენა საჭიროა მაქსიმალურთან მიახლოებული სისწრაფით, ხოლო „ნელ“ მონაკვეთებზე — ნახევარი ძალით.

მაგალითისთვის, რპენის სქემა ასეთია: 400 მ — ნელა, 200 მ — სწრაფად, 400 მ — ნელა, 100 მ — სწრაფად, 400 მ — ნელა, 200 მ — სწრაფად, 500 მ — სიარული, 300 მ — სწრაფად, 100 მ — ნელა, 50 მ — სწრაფად, 100 მ — ნელა, 200 მ — სწრაფად.

3. განმმორებითი სირბილი. გამძლეობის გამომუშავებისთვის განმეორებითი რბენის ხახგრძლივობა ასეთ შემთხვევებში მერყეობს 3-დან 10 წუთამდე, ამ დისტანციაზე მორბენლისთვის მისაწვდომია ვარჯიში 70-80 პროცენტი ინტენსივობით.

გარბენებს შორის შესვენებისთვის ინტერვალი იმდენი უნდა იყოს, რომ მაჯისცემა წუთში 120-მდე დაეიდეს. 800 მეტრზე რბენის დროს გამეორება საჭიროა 2-3-ჯერ.

4. საერთო გამძლეობის გამოსამუშავებლად შეიძლება გამოვიყენოთ ინტერვალური მეთოდიც. ასეთ შემთხვევაში ვარჯიშის ხანგრძლივობა მერყეობს 30 წამიდან 1,5 წუთამდე, 80-90 პროცენტი ინტენსივობით. შესვენების ინტერვალი უდრის ვარჯიშის ხანგრძლივობას, ესე იგი 0,5-1,5 წუთს. შეიძლება მანძილის რამდენიმეჯერ გარბენა (სტადიონზე, ვთქვათ, ერთი წრის გარბენა, დასვენება 1 წუთს და კვლავ [illegible] ნა). გამმეორებლები, შეიძლება სრულად (2-3) [illegible]

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის საგმართველო.

(გაგრძელება იქნება)

* * *

შენიშვნა: „ლელოს“ 4 ივნისის ნომრის მე-3 გვერდზე გამოქვეყნებული ამ წერილის ბოლო აბზაცი უნდა იწყებოდეს სიტყვებით: მეოთხე დღე—

ნათელი მომავალი

სსრ კავშირში რეგბი პირველად 50 წლის წინათ ითამაშეს. მაგრამ მამინ სპორტის ამ სახეობამ ფეხი სათანადოდ ვერ მოიკიდა და სამამულო ომის დაწყებამდე სხვადასხვა დროს ქვეყნის მხოლოდ სამი ჩემპიონატი გაიმართა.

60-იანი წლებიდან სსრ კავშირში რეგბი თანდათან პოპულარული გახდა. ახლა მას თითქმის ყველა რესპუბლიკაში, დიდ ქალაქში, სპორტსაზოგადოებაში თამაშობენ. ეწყობა რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოების ჩემპიონატები. ყოველწლიურად იმართება პირველი და მეორე ლიგების გუნდების საკავშირო პირველობები, საერთაშორისო ტურნირები.

ამას წინათ საკავშირო სპორტკომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება „რეგბის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. მოსკოვის, საქართველოს და აფხაზეთის ფიზკულტურის ინსტიტუტებში დაიწყება რეგბის სპეციალიზაცია. განსრახულია ბავშვთა და მოზარდთა ბევრ სპორტსკოლაში რეგბის განყოფილებების გახსნა, ბავშვთა და მოზარდთა გუნდების მინიტურნირების ჩატარება. გაისიდან კი ჭაბუკთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატებიც გაიმართება.

ყველა ეს ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ სსრ კავშირში რეგბი სათანადო დონემდე ამაღლდეს. რეგბის საკავშირო ფედერაციას გადაწყვეტილი აქვს სამოყვარულო საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) წევრი გახდეს, რათა საბჭოთა ქვეყნის ნაკრები მომავალი სეზონიდან პოპულარულ ტურნირში — „ერების თასის“ გათამაშებაშიც ჩაებას.

ყოველივე ეს დიდ ამოცანებს უსახავს წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეებს, უმაღლესი ლიგის გუნდებს — მოსკოვისა და თბილისის „ლოკომოტივის“ კოლექტივებს. მოსკოვის „ფილის“, „ავტომობილისტს“, ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის, კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის, ლენინგრადის „ბურევესტნიკისა“ და თბილისის „გათიადის“ რეგბისტებს.

თბილისელებმა წლევანდელი ჩემპიონატის პირველ ტურში ვერაფერით გაგვახარეს: ორივე გუნდმა დიდი ანგარიშით წააგო მეორე ტურში, რომელიც კვირას ჩატარდა. მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა, მაგრამ მარცხს ვერც „ლოკომოტივი“ გადაურჩა, ვერც „გათიადი“.

ვნახოთ, რა შედეგებით დამთავრდა იმდღევანდელი შეხვედრები.

ბაგეტი

სსრ კავშირის პირველობა

ერთი შეცდომის ფასი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 9 ივნისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი) 0:4 (0:4).

სსა: ყერებკო, ლისოვი (დმიტრიჩევი), ნაპოლნოვი, შალოვანოვი, ალიოშინი, ვინოგრადოვი (ერმაკოვი), ტიმოშენკო, კულიკოვი, ტიხონოვი (ტოროპოვი), პროშჩინი, ტიხომიროვი, კალუჟნიკოვი, გრაჩოვი, ვლადიმიროვი, სემიონიხინი.

„ლოკომოტივი“: მოდებაძე, ცხვედიანი, ანთაძე, რუხაძე, ბუბაიშვილი, ბენდიაშვილი, ღიბრაძე, კემულარია, ხარშილაძე (დოლიძე), კილასონია, მგელაძე, ყელენტი, გეგეშიძე, გიორგაძე, ჩივაძე (მიქაბერიძე).

მსაჯი გ. ფორმინი (მოსკოვი).

სურათზე: შეხვედრის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

დღევანდელმა მეტოქეებმა შარშანდელი ჩემპიონატი სუტტად ჩაატარეს და საბოლოოდ მათთვის უჩვეულო ადგილებს დასჯერდნენ. სეზონის შემდეგ თბილისელთა კოლექტივში დაისახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსწორებისთვის. სამწუხაროდ, ამ ღონისძიებათა განხორციელებისთვის ბრძოლა თბილისელთა გუნდში მეტისმეტად გაგრძელდა. კოლექტივი დატოვა მწვრთნელმა გ. ტონიამ (მისი ადგილი ზ. ხარშილაძემ დაიკავა), „ლოკომოტივი“ ახალი წევრებით შეივსო. ეს ყოველივე და სხვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაც იმდენად გაჭიანურდა, რომ რკინიგზელებმა წლევანდელი ჩემპიონატისთვის ხეირიანად მომზადება ვეღარ მოასწრეს. ამ ნაკლს ისინი ახლა ასწორებენ.

გაგარინელებთან წაგების მიუხედავად, „ლოკომოტივის“ თამაშით უკმაყოფილო არავინ უნდა იყოს. პირველ ტაიმში ფიზიკურად და ტექნიკურად კარგად მომზადებული სტუმრებისა და მათი საიმედო მეკავშირის — ძლიერი ქარის გამუდმებულ იერიშებს მასჰიხძლევებმა ენერგიული თამაში დაუპირისპირეს. მართალია, ამ თავგამოდებას ზოგჯერ შეცდომები და ჯარიმა მოსდევდა, მაგრამ ანგარიში მანამდე არ გახსნილა, სანამ დაცვამ გამოუსწორებელი შეცდომა არ დაუშვა: ტიხომიროვი უმეთაოლყურად დატოვა და მანაც ბურთიანად რკინიგზელთა ჩათვლის მოედანზე შესულა შეძლო.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სტუმრებს ტაიმი უფრო დიდი ანგარიშით უნდა მოეგოთ, რეალიზაცია და ხუთივე საჯარიმო დარტყმა რომ გამოეყენებინათ.

მაგრამ თბილისელებს ბედი მაინც არ სწყალობდათ. 32-ე წუთზე მარჯვენა, ხოლო 37-ე წუთზე მარცხენა ფლანგიდან რუხაძის გარღვევები შეიძლებოდა მოსკოველთა ჩათვლის მოედნის აღებით დამთავრებულიყო, რუხაძისთვის პარტნიორებს მხარი დროულად რომ აებათ. მან კი ჯერ იჩქარა, ხოლო მეორედ ტექნიკური შეცდომა დაუშვა.

მეორე ტაიმში როლები შეიცვალა — ქარი ახლა თბილისელთა მეკავშირე იყო, მაგრამ რკინიგზელებს დაღლა დაეტყოთ და მათი იერიშები ეპიზოდური გახდა. დავითაიას შეეძლო „ლოკომოტივი“ დაეწინაურებინა, მაგრამ ორივეჯერ საჯარიმო კარს ოდნავ აცდინა.

თუ თბილისის რკინიგზელები სხვა შეხვედრებსაც ასეევ მონდომებით, ენერჯიულად ჩაატარებენ, შედეგებიც არ დააყოვნებს.

ჯ. ქიმიხარიშვილი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
საიი (კიევი)	2	2	0	0	44:7	4
„ფილი“ (მოსკოვი)	2	2	0	0	40:20	4
სსა (მოსკოვის ოლქი)	2	2	0	0	10:3	4
„ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი)	2	1	0	1	37:23	2
„ავტომობილისტი“ (მოსკოვი)	2	1	0	1	19:18	2
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	2	0	0	2	29:37	0
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	2	0	0	2	4:27	0
„გათიადი“ (თბილისი)	2	0	0	2	7:55	0

პრემიერა

საჯდესი ძვირფასი ბილეთი

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 108, 109.

სპორტულმა ორგანიზაციებმა, საწარმოებმა, გამომცემლობებმა, გაზეთების რედაქციებმა. დამზადდა სამახსოვრო ხუფენრები. ვფიქრობ, ჩემპიონატის დაწყებისთვის მზად იქნება ინდივიდუალური პრიზებიც. ამ პრიზებს ხშირად სპორტის თაყვანისმცემლები თვითონ აკეთებენ, აკრობატიკა კი ძალიან ბევრს უყვარს.

სპორტსმენთა ოსტატობას შეაფასებენ საერთაშორისო ფედერაციაში შემავალი ყველა ქვეყნიდან მოწვეული საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები. მთავარ მსაჯად დამტკიცებულია სსრ კავშირის წარმომადგენელი ა. რიპოვი.

მომავალი ტურნირი დიდ ინტერესს იწვევს არ მარტო მოსკოვის, არამედ ყველა მოძმე რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთა შორის. ბილეთის შეძენის ნსურველი ბევრია — უკვე დიდი ხანია შემოვიდა უამრავი განაცხადი. მავშვებისთვის გაიყოფება ათკაპიკიანი ბილეთები. მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ბავშვთა სპორტული სკოლების მოსწავლეებს შეუძლიათ შეჯიბრებას უფასოდ დაესწრონ.

სინტერესოა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არიან ქვეყნის სულ სხვადასხვა კუთხის, კერძოდ, ვოლგოგრადის, ტოლიატის, ჩებოკსარის, ყარაგანდის, კიშინიოვისა და ბევრი სხვა ქალაქის წარმომადგენლები.

— ეჭვი არ არის, აკრობატიკას დიდი პერსპექტივები აქვს, თქვა დასასრულ ი. ტიტოვმა, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა კავშირში ამ სახეობის დანერგვა-განვითარებაში, როგორც საკავშირო სპორტკომიტეტის ტანვარჯიშის განყოფილების უფროსს. — აკრობატიკული ელემენტების გარეშე წარმოუდგენელია ფიგურისტების, ტანმოვარჯიშეების, წყალში მხტომელების გამოსვლა.

— საბჭოთა აკრობატიკის ღირსებას პირველი მსოფლიო ჩემპიონატში 17 სპორტსმენი დაიცავს, — უთხრა საკადესის კორესპონდენტს სსრ კავშირის აკრობატიკის ფედერაციის თავმჯდომარემ ა. ბრონზოვმა. — ესენი არიან: ნ. მასლობოეშჩიკოვა (ტოლიატი), ნ. ტიმოფეევა და გ. სკაკუნი (სტავროპოლი), ი. ზიკუნოვი (მინსკი), ვ. ნაზაროვი და ვ. ალიმანოვი (ორივე — ვოლგოგრადი), სვერდლოვსკელი ცოლ-ქმარი გ. და ი. საველიევები, ვორონეველები ვ. ზელეპუკინა და ტ. ბურლაკოვა, ტოლიატელები თ. დუბროვინა, ლ. გულიაევა და ტ. საბლინა, არმიელი სპორტსმენები ი. ზოლოტოვი, შ. ვილდანოვი, ა. მაკაროვი და ვ. სლეპოკუროვი.

ვარსკვლავები ევროპაში გაემგზავრნენ

22 მაისს კოლორადოში შეიკრიბა აშშ-ს პროფესიონალ კალათბურთელთაგან შემდგარი გუნდი, რომელმაც უნდა ააღორძინოს პოპულარული „ჰარლემ გლობ ტროტერსის“ ტრადიციები. გუნდში გაერთიანდნენ კოლორადოს, კანზასის, აიოვის, მისურის, ნებრასკისა და ოკლაჰომის სტუდენტები.

ერთი დღის შემდეგ „ვარსკვლავების გუნდმა“ პირველი წვრთნა ჩაატარა. მწვრთნელი ჯ. მაკლეოდნდი კმაყოფილი დარჩა კალათბურთელთა თამაშით. ათიოდე დღის შემდეგ კი „ჰარლემის“ ახალი შემადგენლობა ევროპაში გაემგზავრა. პირველ შეხვედრებს ვარსკვლავები იუგოსლავიაში ჩაატარებენ.

გუნდის შემადგენლობაში არიან: ოკლაჰომელები ე. ადამსი (ცენტრალური თავდამსხმელი, სიმაღლე — 206 სმ), კ. ფიცჯერალდი (გარემარბი, 199), ტ. ჰალენდი (გარემარბი, 206), ე. ჰოსონი (ცენტრალური თავდამსხმელი, 204); კანზასელები დ. ბერდი (მცველი, 191), დ. გრიალდი (მცველი, 188), რ. მერინგსტერი (გარემარბი, 199); აიოველები გ. დე ლოსი (ცენტრალური თავდამსხმელი, 209), ჰ. ივი (მცველი, 191); მისურელი კ. ანდერსონი (გარემარბი, 204), ნებრასკელი ჯ. ფორტი (მცველი, 191) და კოლორადოელი დ. ლაგანი (გარემარბი, 196). (საკ. ინფ.).

ᲥᲔᲠᲦᲘ ᲥᲐᲒᲔᲗᲘ

● **კიევი**, 9 ივნისი. აქ დამთავრდა ევროპის იუნიორ მოკრივეთა მესამე პირველობა. საბჭოთა სპორტსმენებმა 7 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. ტკაჩენკომ (დონეცკი), ვ. რიბაკოვმა (მაგადანი), ბულგარელმა ც. ანდრეიკოვსკიმ, ვ. სოროკინმა (ნოვოტროიცკი), ვ. ლიმასოვმა (უფა), ნ. სიგოვმა (ლენინგრადი), მ. ბიჩკოვმა (მოსკოვი), ვ. დანშინმა (ნოვოკუიბიშევსკი), გდრ-ის მოკრივემ დ. ენდემ, რუმინელმა კ. დაფინოიუმ და ბულგარელმა კ. მაშევმა. საბჭოთა სპორტსმენებიდან ვერცხლის მედლები მიიღეს: ანდიკანელმა ფ. პაკმა (მჩატე წონა), ფრუნზელმა მ. კრუცმა (ქვემძიმე) და ლენინგრადელმა ს. პლისოვმა (მძიმე). ბრინჯაოს მედალი ერგო კოსტროველ ა. კრუპინს (მეორე საშუალო). ევროპის სამოყვარულო კრივის ასოციაციის აღმასკომის გადაწყვეტილებით, ჩემპიონატის საუკეთესო მოკრივედ აღიარეს 19 წლის დანშინი, რომელსაც გადაეცა ამ ასოციაციის პირველი პრეზიდენტის ე. გრემოს თასი.

● **მოსკოვი**, 9 ივნისი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ევროპის ძალოსანთა ბოლო ჩემპიონატში მოპოვებული დიდი წარმატებისთვის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა ორ დინამოელს, მოსკოველ ვ. რიეენკოვს და როვნოელ ე. უსტიუჟინს.

● **ორიმანტილა** (ფინეთი), 9 ივნისი. 29 წლის ნორვეგიელმა ჰ. კვალჰეიმმა 5000 მეტრზე 13.43,4 აჩვენა და I ადგილი დაიკავა. II ადგილზეა ოლიმპიური ჩემპიონი, ფინელი ლ. ვირენი — 13.51,8.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, გერმანელ მუშათა და გლეხთა სახელმწიფო აქტიურად გამოხატავს თავის სიმპათიასა და მხარდაჭერას იმ ქვეყნების ხალხთა მიმართ, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ.

სურათზე: ლაიპციგის ფიზიკური კულტურისა და სპორტის უმაღლეს სკოლაში მომავალ მწვრთნელთა მეცადინეობა ტარდება. დაფასთან — ადვე რახიმი (ბანგლადეშის ხალხთა რესპუბლიკა). ადნ — საკდესის ფოტო.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ, ᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲘ

ჩვენ სისტემატურად ვაქვეყნებდით ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატებისა და თასის გათამაშებათა მიმდინარეობისადმი მიძღვნილ მასალებს. სრული სურათის წარმოდგენისთვის მოგვყავს ფეხბურთში ჩვენი კონტინენტის სახელმწიფოთა ჩემპიონების სია:

გდრ — „მაგდებურგი“. მოიპოვა, აგრეთვე, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი;

ბულგარეთი — სოფიის „ლევსკი-სპარტაკი“;

ინგლისი — „ლიდს იუნაიტედი“;

შოტლანდია — გლაზგოს „სელტიკი“;

იუგოსლავია — სპლიტის „ჰაიდუკი“;

გფრ — მიუნჰენის „ბაიერნი“. მოიპოვა, აგრეთვე, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი;

პოლანდია — როტერდამის „ფეიენოორდი“. მოიპოვა, აგრეთვე, უეფა-ს თასი;

იტალია — რომის „ლაციო“. სხვათა შორის, იტალიურ ფეხბურთში საინტერესო ცვლილება მოსდა: მილანის „ინტერნაციონალეს“ კლუბის ხელმძღვანელობამ „ცუდი ჯანმრთელობის“ მოტივით გუნდის უფროსი მწვრთნელის პოსტიდან გადააყენა ცნობილი სპეციალისტი ე. ერერა და და მის ნაცვლად დანიშნა ამ კოლექტივის ყოფილი მოთამაშე, სასელგანთქმული ფეხბურთელი ლ. სუარესი;

საფრანგეთი — „სენტ-ეტიენი“;

პორტუგალია — ლისაბონის „სპორტინგი“. შარშანდელი ჩემპიონი — დედაქალაქის „बენფიკა“ II ადგილს დასჯერდა. გუშინწინ ეს გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ თასის გათამაშების ფინალურ მატჩში (ნახევარფინალში „बენფიკამ“ სძლია „პორტუს“ —3:0, ხოლო „სპორტინგმა“ — „ბელენენსეშს“ — 2:1). თამაში გაიმართა ლისაბონის „ეშტადიუ ნასიონალის“ მინდორზე.

პირველ ნახევარში უპირატესობა „बენფიკას“ მხარეს იყო და 32-ე წუთზე კომბინაცია ეუსებიუ — ეორდაუ — ნენე გოლით დასრულდა — „სპორტინგის“ მეკარემ დამასმა ვერ შეძლო ნენეს ძლიერი დარტყმის მოგერიება. შესვენების შემდეგ „სპორტინგი“ გააქტიურდა, თუმცა მეკარე დამასის კარგი თამაში რომ არა, „बენფიკის“ თავდამსხმელებს კიდევ შეეძლოთ რამდენიმე გოლის გატანა. 88-ე წუთზე, როცა მატჩის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, „სპორტინგის“ ფორვარდმა შიკუმ მოახერხა საპასუხო გოლის გატანა. დამატებითი დროის მე-17 წუთზე „სპორტინგის“ ცენტრფორვარდმა მარინიუმ კვლავ აიღო „बენფიკის“ კარი — 2:1. თასი „სპორტინგის“ კაპიტანს გომეშს გადასცა პრეზიდენტმა ა. დი სპინოლამ (საკ. ინფ.);

ავსტრია — ვენის „სვაროვსკი-ვაკერი“;

საბერძნეთი — ათენის „ოლიმპიაკოსი“;

ბელგია — ბრიუსელის „ანდერლეხტი“;

ესპანეთი — „ბარსელონა“. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეროვნულმა ფედერაციამ ფიფა-ს გაუგზავნა ოფიციალური განაცხადი მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძლობის თაობაზე. ისიც უნდა ითქვას, რომ შარშან ესპანეთმა წინასწარ მოსინჯა თავისი კანდიდატურა და იგი მოიწონეს;

უნგრეთი — დედაქალაქის „დოჟა უიპეშტი“.

ჩეხოსლოვაკია — ბრატისლავის „სლოვანი“. თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ პრაღის ცნობილი გუნდები „სპარტა“ და „სლავია“. გაიმარჯვა „სლავიამ“ — 3:1.

შვეიცარიის ჩემპიონი გახდა „ცურიხი“, რომელმაც 45 ქულა დააგროვა 52-დან. გამარჯვებულს ბევრად ჩამორჩა II ადგილზე გასული „გრასჰოპერი“ — 33 ქულა. III ადგილზეა „სერვეტი“ — 32 ქულა.

ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ✓ ᲜᲐᲕᲡᲘ ᲒᲐᲢᲔᲢᲠᲝᲜ

ბულგარეთის გუნდს განსაკუთრებული „რეკორდი“ ეკუთვნის: იგი მეოთხედ გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და წინა სამ ფინალურ ეტაპზე ერთი შეხვედრაც არ მოუგია. თუმცა, ამჯერად ეს გუნდი მესამე ჯგუფში მოხვდა შვეიცელებთან, ჰოლანდიელებთან, ურუგვაელებთან ერთად, რის წყალობითაც დიდი შანსი აქვს, რომ ნავსი გატეხოს და მეოთხედფინალში გავიდეს.

გუნდი ინტენსიურად ემზადებოდა უფროსი მწვრთნელის, გამოცდილი სპეციალისტის ხრისტო მლადენოვის ხელმძღვანელობით. ამას წინათ ბულგარელებმა თურქეთის ნაკრები გაახადგურეს (5:1) და სპორტული ფორმის მწვერვალს ალბათ ზუსტად საჭირო მომენტში მიაღწევენ.

ამ ფსიქოლოგიურმა გამარჯვებამ ბულგარეთი ბალკანეთის თასის გათამაშების ფინალში გაიყვანა, სადაც გუნდმა დაგვიმტკიცა, რომ შეუძლია პაპანაკეება სიცხეშიც კი სწრაფი, შემტევი ფეხბურთი ითამაშოს. მლადენოვიც სწორედ ამას მოითხოვს ფეხბურთელებისგან.

მლადენოვი ბუდაპეშტში ცხოვრობდა უნგრული ფეხბურთის ოქროს ხანაში (50-იან წლებში) და 20 წელია შემტევი ფეხბურთის დიდი მომხრეა.

გუნდის ჩონჩხი შედგება ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონის „ლევსკი სპარტაკისა“ და არმიის გუნდის, სოფიის ცსკა-ს მოთამაშეებისგან. ამ უკანასკნელებმა, სხვათა შორის, „აიაქსი“ გამოსთიშეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ახლახან დამთავრებულ გათამაშებას.

მოწინავე ფეხბურთელები არიან ცსკა-ს ვეტერანი, ცენტრალური მცველი დობრომ ჟეჩევი და ხრისტო ბონევი, რომელიც იმდენად ძლიერია, რომ ევროპის საუკეთესო მოთამაშეთა რიცხვშიც შეგვიძლია დავასახელოთ. ბოლო სეზონის დასაწყისში დიდი ლაპარაკი იყო იმის თაობაზე, რომ იტალიის „იუვენტუსმა“ ბონევს დიდი თანხა შესთავაზა ამ კლუბში გადასვლისთვის, მაგრამ ფეხბურთელმა არ მიიღო ეს წინადადება.

ძლიერია, აგრეთვე, მარცხენა გარემარბი დიმიტრი დენევი, მაგრამ ზოგჯერ იგი თავის ბრწყინვალე დრიბლინგს ბოროტად იყენებს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში მლადენოვმა განსაკუთრებით გამახვილა ყურადღება თავისი გუნდის ფიზიკური გამძლეობის გაუმჯობესებაზე, რადგან მიხვდა, რომ წარსულში ბულგარელები სწორედ გამძლეობის უკმარობის გამო თამაშობდნენ წარუმატებლად.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ბულგარეთის ეროვნულმა ნაკრებმა უმძიმესი დანაკლისი განიცადა: მისი ორი ვარსკვლავი — გეორგი ასპარუხოვი და ნიკოლა კოტოვი საავტომობილო კატასტროფის დროს დაიღუპნენ. ცენტრფორვარდი ასპარუხოვი ბულგარელთა ყველაზე განთქმული მოთამაშე და უძლიერესი ბომბარდირი იყო. გუნდს იმასაც უშველა, რომ ბონევმა ძლიერად დაიწყო თამაში და ასე თუ ისე აანაზღაურა დანაკლისი.

სწორედ ბონევმა გაიტანა ორი გოლი ლისაბონში პორტუგალიის ნაკრებთან მატჩში. ამ გოლებმა ბულგარელებს ფრე და მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოუტანა. ორი წლის წინათ ბონევის გოლებმა მისი კლუბი, პლოვდივის „ლოკომოტივი“ უმაღლესი ლიგის დატოვებას გადაარჩინა.

ბონევი კარგად გრძნობს თავს, როცა ბურთი ფეხებში აქვს ჩაგდებული. იგი სამხრეთ ევროპის იმ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ყველაფერს მეტ-ნაკლებად სრულყოფილად ფლობენ.

შესარჩევ შეჯიბრებაში ბულგარეთმა აჯობა ჩრდილოეთ ირლანდიის, კიპროსისა და პორტუგალიის გუნდებს. პორტუგალიელები საკმაოდ „ძველი მეტოქეები“ იყვნენ, მაგრამ ბულგარელები განუწყვეტლივ უტევდნენ და სანახაობითს ფეხბურთს თამაშობდნენ მაშინაც კი, როცა მკაცრ დაცვას წააწყდნენ ლისაბონში (ეს მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2).

მლადენოვმა განაცხადა, მსოფლიო ჩემპიონატისთვის გუნდის საბოლოო შემადგენლობას იხელისთან მატჩის შემდეგ დავასახელებო (ეს მატჩი ინგლისელებმა მოიგეს — 1:0. — რედ.). ამას წინათ მათ ორჯერ დაამარცხეს კსდრ-ის ნაკრები (6:1 და 2:0). მსოფლიო ჩემპიონატში თავის პირველ მატჩს ბულგარეთის ნაკრები 15 ივნისს დიუსელდორფში ჩაატარებს, — შეხვდება შვეიცის ეროვნულ გუნდს. ბულგარელებს ფსიქოლოგიური უპირატესობა აქვთ თავიანთ პირველ მეტოქესთან — ბოლო ორ შეხვედრაში მათ იოლად დაამარცხეს შვედები როგორც შინ, ისე სტუმრად.

ტერი ბაშელი.

* * *

WM-74 13/VI — 7/VII

ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ

ძირითადი მოთამაშეები: რუმენ გორანოვი („ლოკომოტივი“, სოფია), ივან ზაფიროვი (ცსკა), კირილ იკოვი („ლევსკი სპარტაკი“), დიმიტარ პენევი (ცსკა), სტეფან ალაჯოვი („ლევსკი სპარტაკი“), ბოიილ კოლევი (ცსკა), ხრისტო ბონევი („ლოკომოტივი“, პლოვდივი), დობრომ ჟეჩევი („ლევსკი სპარტაკი“), ვოინ ვოინოვი („ლოკომოტივი“, პლოვდივი), დიმიტრი დენევი (ცსკა), პაველ პანოვი („ლევსკი სპარტაკი“).

მათს გარდა გუნდში არიან: მეკარე სტეფან სტაკოვი („ლევსკი სპარტაკი“); მცველები: სტეფან ველიჩკოვი („ეტარი“), ცონიო ვასილევი (ცსკა); ნახევარმცველები: კარასიმ ბორისოვი („ლოკომოტივი“, სოფია), ივან სტოიანოვი („ლევსკი სპარტაკი“); თავდამსხმელები: ბოიდარ გრიგოროვი („სლავია“, სოფია), ჰერიო მილანოვი („ლევსკი სპარტაკი“).

(„მორნინგ სტარი“, ლონდონი). ✓

ᲙᲘᲜᲓᲕᲐᲚᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ...

შვეიცის ნაკრების ცნობილმა მოთამაშემ, 30 წლის ო. კინდვალმა ამას წინათ უპასუხა ბერლინის გაზეთ „დოიჩეს შპორტეიოს“ კორესპონდენტს რამდენიმე შეკითხვაზე.

● **თუ აქვს შვეიცის ნაკრებს იმედი, რომ ჯგუფში გაიმარჯვებს და ბრძოლას განაგრძობს დასკვნითს ეტაპზე?**

— ეს ჩვენი მიზანი გახლავთ. ჩემი აზრით, არავითარ შემთხვევაში ჩვენი ჯგუფის სხვა წევრებზე: ურუგვაელებზე, ბულგარელებზე ან ჰოლანდიელებზე ნაკლები შანსი არა გვაქვს. აქ ყველას შეუძლია მოგებაც და წაგებაც.

● **ექსპერტები გამოთქვამენ აზრს, რომ შეიდებს თავიანთი საკმაოდ „ხანდაზმული შემადგენლობით“ ფიზიკური თვალსაზრისით მსოფლიო ჩემპიონატში გაუჭირდებათ. იზიარებთ ამ შეხედულებას?**

— არავითარ შემთხვევაში. ეს აზრი ზოგს შეექმნა იმის შემდეგ, რაც ჰამბურგში წავაგეთ გფრ-ის გუნდთან — 0:2. მაგრამ აქ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: გერმანელები სრულ ფორმაში იყვნენ, ჩვენ კი ეროვნულ ჩემპიონატში ცოტა მატჩი გვქონდა ჩატარებული. ივნისის შუა რიცხვებისთვის შვეიცის ნაკრებშიც ყველაფერი რიგზე იქნება.

● **რას მოელით მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში?**

— აქ ძალიან ბევრი გუნდი თამაშობს, რომელებსაც დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობები აქვთ. პირადად მე მომწონს ჰოლანდიის ნაკრები. ვფიქრობ, ტაქტიკა ამჯერად უფრო დიდ როლს შეასრულებს, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატში 1970 წელს. ბევრი გუნდი, მათ შორის ჩვენც, იტალიელთა მსგავსად, ძირითად იარაღად კონტრშეტევას აირჩევს.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ

ჰოლანდიის ნაკრებმა ამხანაგურ საკონტროლო მატჩში ანგარიშით 2:1 დაამარცხა გფრ-ის უმაღლესი ლიგის გუნდი „კიკერსი“. 30-ე წუთზე ანგარიში გახსნა ჰოლანდიელმა რეპმა, შემდეგ კი კოსტედემ თანაფარდობა აღადგინა. შესვენების შემდეგ ნეესკენსმა მეორედ აიღო „კიკერსის“ კარი.

კოპენჰაგენში დანიის ნაკრებმა შვეიცის ეროვნულ გუნდს უმასპინძლა. შვედებმა ამ ბოლო დროს პირველად შეძლეს თავი მოეყარათ უცხოელის კლუბებში მოთამაშე ყველა თავისი საუკეთესო ფეხბურთელისთვის. სწორედ ამ „უცხოელებმა“ გაიტანეს მასპინძელთა კარში ორი უპასუხო გოლი — 2:0. ესენი იყვნენ დასავლეთ გერმანიის კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელები სანდბერგი („კაიზერსლაუტერნი“) და ტორსტენსონი (მიუნჰენის „ბაიერნი“).

ოლდენბურგში (გფრ) ადგილობრივმა გუნდმა ზაირის ნაკრები მიიღო. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტებმა საკმაოდ იოლად სძლიეს მასპინძლებს — 5:2.

მალმიოში შვეიცის ნაკრებმა ფრედ (0:0) ითამაშა შვეიცარიის ეროვნულ გუნდთან.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲑᲘᲜᲝᲜᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. საქართველოს ჩემპიონატი. 11 ივნისი. „ისნის“ სტადიონი. „განთიადი“ (თბილისი) — „შუქურა“ (ქობულეთი). დასაწყისი 18 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04619